


Cat® S60 სმარტფონი მომხმარებლის სახელმძღვანელო



გამოყენებამდე გთხოვთ წაიკითხოთ

უსაფრთხოების ზომები

გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ უსაფრთხოების ზომები, რათა უზრუნველყოთ მობილური ტელეფონის სწორი გამოყენება.

მონწყობილობის გამძლეობის მიუხედავად, თავიდან აიცილეთ თქვენი მობილური ტელეფონის დარტყმა, სროლა, ვარდნა, მირტყმა, გადაღუნვა და ხვრეტა.

მოერიდეთ თქვენი მობილური ტელეფონის გამოყენებას ისეთ ნესტიან გარემოში, როგორცაა მაგალითად აბაზანა.

მოარიდეთ თქვენი მობილური ტელეფონი მიზანმიმართულ დასველებას ან სითხით გარეცხვას.

არ ჩართოთ თქვენი მობილური ტელეფონი მაშინ როდესაც მისი გამოყენება აკრძალულია ან როდესაც ტელეფონმა შეიძლება გამოიწვიოს დაბრკოლებები ან შეიძლება წარმოქმნას საშიშროება.

არ გამოიყენოთ თქვენი მობილური ტელეფონი საჭესთან ჯდომის დროს.

საავადმყოფოებსა და ჯანდაცვის ობიექტებში, დაიცავით ყველა წესი და რეგულაციები. გამორთეთ თქვენი მობილური ტელეფონი როდესაც სამედიცინო აპარატურასთან ახლოს ხართ.

გამორთეთ თქვენი მობილური ტელეფონი როდესაც თვითმფრინავში ხართ. ტელეფონმა შეიძლება გამოიწვიოს დაბრკოლება თვითმფრინავის სამართავ მოწყობილობებში.

გამორთეთ თქვენი მობილური ტელეფონი როდესაც მაღალი სიზუსტის მქონე ელექტრონულ მოწყობილობებთან ახლოს ხართ. ტელეფონმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ამ მოწყობილობების ფუნქციონირებაზე.

ნუ შეეცდებით თქვენი მობილური ტელეფონის ან მისი აქსესუარების დაშლას. ტელეფონზე სერვისის ჩატარების ან მისი შეკეთების უფლება აქვთ მხოლოდ კვალიფიციურ კადრებს.

ნუ განათავსებთ თქვენს მობილურ ტელეფონს ან მის აქსესუარებს ძლიერ ელექტრომაგნიტური ველის მქონე კონტეინერში.

ნუ განათავსებთ მაგნიტური ველის მატარებელ ხელსაწყოს თქვენს მობილურ ტელეფონთან ახლოს. ტელეფონის რადიაციამ შეიძლება ნაშალოს ინფორმაცია რომელიც მასში ინახება.

ნუ დადებთ თქვენს მობილურ ტელეფონს ისეთ ადგილას სადაც მაღალი ტემპერატურაა, ნურც გამოიყენებთ მას ისეთ ადგილას სადაც აალებადი გაზია, მაგალითად ბენზინგასამართ სადგურებზე.

შეინახეთ მობილური ტელეფონი და მისი აქსესუარები ბავშვებისაგან მოშორებით. არ მისცეთ უფლება ბავშვებს გამოიყენონ თქვენი მობილური ტელეფონი მითითებების გარეშე.

გამოიყენეთ მხოლოდ ნებადართული ბატარეები და დამტენები რათა თავიდან აიცილოთ აფეთქებების რისკი.

დაიცავით ყველა კანონი და წესი უსადენო მოწყობილობების გამოყენებასთან დაკავშირებით. უსადენო მოწყობილობის გამოყენების დროს, პატივი ეცით სხვა ადამიანების კონფიდენციალურობასა და მათ უფლებებს.

არ გამოიყენოთ მობილური ტელეფონი თვითმფრინავებში, საავადმყოფოებში, ბენზინგასამართ სადგურებზე ან პროფესიულ ავტოფარეხებში.

სამედიცინო იმპლანტანტების (გულის, ინსულინის, და ა.შ.) მქონე პაციენტის შემთხვევაში, დაიჭირეთ მობილური ტელეფონი იმპლანტიდან 15სმ-ის დაშორებით და დარეკვისას გეკავოთ ტელეფონი იმპლანტის მოპირდაპირე მხარეს.

USB კაბელის გამოყენებისას, მკაცრად დაიცავით ამ სახელმძღვანელოს შესაბამისი ინსტრუქციები.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მობილური ტელეფონი ან პერსონალური კომპიუტერი შეიძლება დაზიანდეს.

იურიდიული ცნობა

© 2016 Caterpillar. ყველა უფლება დაცულია.

CAT, CATERPILLAR, BUILT FOR IT, მათი შესაბამისი ლოგოები, "Caterpillar Yellow," "Power Edge"-ის სავაჭრო ვიზუალური მახასიათებელი ისევე როგორც კორპორატიული და პროდუქტის იდენტობა რომელიც გამოიყენება შემდეგში, წარმოადგენს Caterpillar-ის სავაჭრო ნიშნებს და არ შეიძლება იყოს გამოყენებული ნებართვის გარეშე.

Bullitt Mobile Ltd წარმოადგენს Caterpillar Inc-ის ლიცენზიატს.

Bullitt Mobile Ltd.-ისა და მესამე მხარის სავაჭრო ნიშნები წარმოადგენს მათი შესაბამისი მფლობელების საკუთრებას.

Caterpillar Inc-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება ამ დოკუმენტის არც ერთი ნაწილის რეპროდუცირება ან ნებისმიერი სახით ან საშუალებით გადაცემა.

პროდუქტი რომელიც აღწერილია ამ სახელმძღვანელოში შეიძლება შეიცავდეს შესაძლო ლიცენზირებებს და პროგრამას რომლის საავტორო უფლებებიც არის დაცული. მომხმარებლებმა არ უნდა მოახდინონ, აღნიშნული პროგრამის ან ტექნიკის ნებისმიერი სახით რეპროდუცირება, გავრცელება, ცვლილებები, დეკომპილაცია, დაშლა, გაშიფვრა, ექსტრაქტი, რევერსული ინჟინირება, იჯარით გაცემა, გასხვისება ან სუბლიცენზია. ზემოაღნიშნული შეზღუდვები დასაშვებია თუ ასეთი შეზღუდვები აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობით ან თუ ამგვარი ქმედება დაშვებულ იქნა ლიცენზიის მქონე შესაბამისი საავტორო უფლებების მფლობელების მიერ.

შენიშვნა

პროდუქტისა და მისი აქსესუარების ზოგიერთი თვისებები რომელიც აღწერილია აქ გამომდინარეობს პროგრამის დამონტაჟებიდან, ადგილობრივი ქსელის შესაძლებლობებისა და პარამეტრებისაგან და შესაძლებელია არ ამოქმედდეს ან შეიძლება შეიზღუდოს ადგილობრივი ქსელის ოპერატორების ან ქსელის პროვაიდერის მიერ. ამდენად, მოცემული აღწერილობა შეიძლება ზუსტად არ დაემთხვეს პროდუქტს ან მის აქსესუარებს რომელიც თქვენ შეიძინეთ.

მწარმოებელი იტოვებს უფლებას, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების ან ვალდებულების გარეშე, შეცვალოს ან შეასწოროს ნებისმიერი ინფორმაცია ან სპეციფიკაცია რომელიც მოცემულია სახელმძღვანელოში.

მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პროდუქციის კანონიერებასა და ხარისხზე, რომელსაც თქვენ ატვირთავთ ან ჩამოტვირთავთ ამ მობილური ტელეფონის მეშვეობით, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, ტექსტზე, სურათებზე, მუსიკაზე, ფილმებსა და პროგრამებზე რომლებიც პროდუქტში არ არიან ინტეგრირებული და რომლებიც დაცულნი არიან საავტორო უფლებებით. პასუხისმგებელი პირი იმ შედეგებზე რომლებიც წარმოიქმნება ზემოაღნიშნული პროდუქციის ამ მობილურ ტელეფონში დამონტაჟებით ან გამოყენებით ხარტ თქვენ.

არანაირი გარანტია

ამ სახელმძღვანელოს შინაარსი მოწოდებულია, "როგორც არის". გარდა იმ შემთხვევებისა რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, არ არსებობს არანაირი სახის გარანტია ამ სახელმძღვანელოს სიზუსტესთან, საიმედოობასთან და შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება იყოს გამოხატული ან ნაგულისხმევი, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, ნაგულისხმევი გარანტიები გაყიდვის უნარიანობისა და ვარგისიანობისა კონკრეტული მიზნებისთვის.

მაქსიმალურ დონეზე, რომელიც ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით, მწარმოებელი არავითარ შემთხვევაში არ აგებს პასუხს ნებისმიერ სპეციალურ, შემთხვევით, არაპირდაპირ ან შედეგობრივ ზიანზე, ან განაცდურზე, ბიზნესზე, შემოსავლებზე, მონაცემებზე, კეთილ ნებაზე ან მოსალოდნელ დანაზოგებზე.

იმპორტისა და ექსპორტის რეგულაციები

მომხმარებლებმა უნდა დაიცვან ყველა მოქმედი კანონი და წესი რომელიც ეხება ექსპორტს ან იმპორტს და მიიღონ ყველა საჭირო ნებართვა და ლიცენზია რათა მოახდინონ ექსპორტი, რეექსპორტი ან იმ პროდუქტის იმპორტი რომელიც აღნიშნულია ამ სახელმძღვანელოში, მათ შორის, პროგრამული და ტექნიკური მონაცემებისა რომელიც მოცემულია მასში.

სარჩევი

Cat® S60 სმარტფონის წინასიტყვაობა	1
ძირითადი ფუნქციები	1
ღილაკთა ფუნქციები	2
დასაწყისი	3
თქვენი მობილური ტელეფონის ჩართვა.....	5
სენსორული ეკრანი.....	5
საწყისი ეკრანი.....	5
ეკრანის ჩაკეტვა და გახსნა.....	6
ჩვენება	7
ჩვენების განლაგება	7
შეტყობინების პანელი	8
მალსახმობი იკ.....	8
ვიჯეტები	9
საქალაქდები.....	9
ფონები	9
მედია ფაილების გადაგზავნა თქვენი მობილური ტელეფონიდან და მობილურის მისამართით.....	10
თვითმფრინავის რეჟიმის გამოყენება.....	10
ტელეფონი.....	11
დარეკვა.....	11
ზარის მიღება და უარყოფა	12
სხვა ოპერაციები ზარის დროს	12
კონტაქტები	13
თქვენს კონტაქტებთან კომუნიკაციის დამყარება	14
ეკრანული კლავიატურის გამოყენება	15
Wi-Fi (უსადენო ინტერნეტი)	15
SMS და MMS	16
ბლუთუზი	18
ფოტოების გადაღება და ვიდეოს ჩანერა	19
თერმული კამერის გამოყენება	22
მუსიკით დატკობა	24
FM რადიოს მოსმენა.....	25
Google-ის სერვისები	26
Google-ის რუკები™	28
Google Play Store-ის გამოყენება.....	29

ინფორმაციის სინქრონიზაცია.....	30
თქვენი ანგარიშების მართვა.....	30
მოახდინეთ თქვენი ანგარიშის სინქრონიზაციის კონფიგურაცია	31
სხვა აპლიკაციების გამოყენება	31
კალენდარის გამოყენება.....	31
მაღვიძარას გამოყენება.....	32
გამომთვლელი.....	32
თქვენი მობილური ტელეფონის მართვა	33
თარიღისა და დროის დაყენება.....	33
ჩვენების დაყენება.....	33
ტელეფონის ბარის დაყენება	34
პროგრამირებადი კოდის კონფიგურაცია.....	34
მომხმარებლის სახელმძღვანელოებისა და არჩევანების გამოყენება	35
ტელეფონის სერვისების დაყენება	35
თქვენი მობილური ტელეფონის დაცვა	35
NFC-ის გამოყენება.....	36
SOS გასაღების გამოყენება.....	37
აპლიკაციების მართვა	38
თქვენი მობილური ტელეფონის აღდგენა	39
თქვენი მონყობილობის ტექნიკური აღდგენა	39
E-label-ის დათვალიერება	40
დანართი	41
გაფრთხილებები და სიფრთხილის ზომები	41
აქსესუარები.....	42
განმენდა და მოვლა	43
მოსმენის დახმარების თავსებადობა (HAC)	44
გადაუდებელი ზარი	44
FCC განცხადება	44
კანადის ინდუსტრიის ფორმულირება	45
ინფორმაცია რადიოტალღების გამოსხივებაზე (SAR)	46
სმენის დაკარგვის პრევენცია.....	47
განაცხადი შესაბამისობის შესახებ.....	47
CE SAR შესაბამისობა.....	48
გადაყრისა და გადამუშავების ინფორმაცია	48
S60 MyFLIR სპეციფიკაცია.....	50


Cat® S60 სმარტფონის წინასიტყვაობა

S60 სმარტფონი შექმნილია გარეთ გამოსაყენებლად და მას აქვს ისეთი თვისებები, რომ გაძლოს რთულ გარემოში. ის აღჭურვილია ინტეგრირებული FLIR თერმულით, ასე რომ S60 მოგცემთ სუფთა თერმულ გამოსახულებას და მრავალი წერტილის გამზომებს, რომლებიც საშუალებას მოგცემთ რეტროაქტიურად მონიშნოთ ტემპერატურა თქვენს სურათზე. სერტიფიცირებულია გამძლეობის უმაღლესი სტანდარტებით, IP68-ით, ისე რომ მას შეუძლია გაძლოს 5 მეტრამდე სიღრმეში 60 წუთის განმავლობაში და მას ასევე შეუძლია გადაიდოს ფოტოები და ვიდეოები წყალქვეშ. სენსორული ეკრანი ასევე თავსებადია ხელთათმანითა და სველი თითით ფუნქციონირებასთან. მას აქვს გაკანრვის საწინააღმდეგო მინა, არის მტვერგაუმტარი და შეუძლია გაუძლოს დაცემას 1.8მ-ის სიმაღლიდან.

ძირითადი ფუნქციები

ტელეფონი თვალის ერთი გადავლებით

1. წინა კამერა
2. ყურმილი
3. 5მ წყლის ჩამრთველი
4. ხმამაღლა მეტყველებელი
5. ბოლო აპების ღილაკი
6. მენიუს ღილაკი
7. უკან დაბრუნების ღილაკი
8. ყურსასმენის შესაერთებელი ბუდე
9. USB-ის შესაერთებელი
10. SOS ღილაკი
11. პროგრამირებადი ღილაკი
12. ჩართვის ღილაკი
13. 13მგ პიქსელის კამერა
14. თერმული კამერა
15. მიკროფონი
16. SIM/SD კარის ჩამკეტი
17. ბარათის დასაფარის ჩამკეტი
18. ელვა
19. ხმის ასაწევ/დასაწევი ღილაკი



შენიშვნა:

ნორმალური გამოყენებისას, 5მ წყლის ჩამრთველი (3) უნდა იყოს მომართული 2მ-ზე და არა 5მ-ზე, რადგან ეს მოქმედებს ხმის შედევიანობაზე.


ღილაკთა ფუნქციები

- ჩართვის ღილაკი**
- დააჭირეთ, რომ ჩართოთ თქვენი მობილური ტელეფონი..
 - დააჭირეთ და გქონდეთ დაჭერილი, რომ გახსნათ ტელეფონის პარამეტრების მენიუ.
 - დააჭირეთ რომ ჩაკეტოთ ან ჩართოთ ეკრანი როდესაც მობილური ტელეფონი ჩამქვრალ მდგომარეობაშია.
- მენიუს ღილაკი**
- დააჭირეთ ნებისმიერ დროს რომ გამოჩნდეს სანყისი ეკრანი.
 - ხანგრძლივი დაჭერა მენიუს ღილაკზე გამოაჩენს Google™-ის იკონს. შეეხეთ იკონს ეკრანზე, რათა გამოიძახოთ Google-ის საძიებელი ან Google Now™.
 - შეეხეთ ორმაგათ რომ ჩართოთ ეკრანი როდესაც მობილური ტელეფონი ჩამქვრალ მდგომარეობაშია.
- ბოლო აპების ღილაკი** დააჭირეთ რომ იხილოთ ბოლოს გამოყენებული აპლიკაციების სია.
- უკან დაბრუნების ღილაკი**
- დააჭირეთ რომ გამოაჩინოთ წინა ეკრანი რომელზეც თქვენ მუშაობდით.
 - გამოიყენეთ რომ დახუროთ ეკრანის კლავიატურა.
- ხმის ასანვევ/დასანვევი ღილაკი**
- ხმა – დააჭირეთ **ხმის აწვევის** ღილაკს რომ აუწიოთ ხმას, ან ხმის დაწვევის ღილაკს რომ დაუწიოთ ხმას.
 - ეკრანის ანაბეჭდი – დააჭირეთ ორივეს **ჩართვის** და **ხმის დაწვევის** ღილაკებს ერთდროულად.
 - როდესაც კამერის აპი გაქვთ ჩართული, დააჭირეთ **ხმის ასანვევ/დასანვევი ღილაკს** რომ მყისიერად გადაიღოთ სურათები. **ხმის ასანვევ/დასანვევი ღილაკს** აქვს ასევე სხვა ფუნქციებიც, როდესაც კამერის აპი არ გამოიყენება.

დასაწყისი

ნაწილი SIM ბარათის (ების) დაყენება

1. თქვენი თითის კოდის გამოყენებით, გადანიჭეთ SIM/SD კარის საკეტი უკან რათა მიიღოთ წვდომა SIM/SD ბარათის სლოტებზე.
2. ჩადეთ ნაწილი SIM ერთ-ერთ SIM ბარათის სლოტში ისე რომ ოქროს ფერი კონტაქტები მოაქციოთ ქვემოთ.




შენიშვნა:


- თუ გსურთ გამოიყენოთ მრავალი სიმ-ბარათი, გაიმეორეთ იგივე პროცედურა რომ ჩადოთ სხვა ნაწილი SIM ბარათი.
- სანამ ნაწილი SIM ბარათს მოხსნიდეთ SIM2 ბარათის სლოტიდან, მკაცრად რეკომენდირებულია რომ ამოიღოთ მეხსიერების ბარათი, SIM2 ბარათის სლოტთან უფრო ადვილი ხელმისაწვდომობისათვის. გაითვალისწინეთ ბერკეტი SIM 2-ის ამოსაღებად.

მეხსიერების ბარათის დაყენება

1. თქვენი თითის კოდის გამოყენებით, გადანიჭეთ SIM/SD კარის საკეტი უკან რათა მიიღოთ წვდომა SIM/SD ბარათის სლოტებზე.



2. ჩადეთ microSD ბარათი მეხსიერების ბარათის სლოტში ისე რომ ოქროს ფერი კონტაქტები მოაქციოთ ქვემოთ.



შენიშვნა:

- იმისათვის რომ ამოიღოთ microSD ბარათი, აწიეთ მეხსიერების ბარათის კიდე და ამოიღეთ ის მისი სლოტიდან.
- ნუ დაატანთ ძალას microSD ბარათს, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს მეხსიერების ბარათი ან სლოტი.

ბატარის დატენვა

S60-ს აქვს ჩამონტაჟებული ბატარეა, რომ დატენოთ ბატარეა:

1. შეაერთეთ USB კაბელი, რომელიც მოყვება თქვენი მობილური ტელეფონის დამტენს.

შენიშვნა:


გამოიყენეთ მხოლოდ Cat® დამტკიცებული დამტენები და კაბელები. გაუთვალისწინებელმა ადტურვილობამ შესაძლოა გამოიწვიოს მონწყობილობის დაზიანება ან ბატარეების აფეთქება.

2. გახსენით USB-ის შესაერთებელის საფარი. შეაერთეთ USB კაბელი თქვენი ტელეფონის USB-ის შესაერთებელში.

შენიშვნა:

ფრთხილად, არ გამოიყენოთ გადაჭარბებული ძალა როდესაც USB კაბელს აერთებთ.

იცოდეთ შესაერთებლის სწორი ორიენტაცია. დაზიანება შეიძლება გამოწვეული იქნას შესაერთებლის არასწორად შეერთების დროს, რასაც გარანტია არ ფარავს.



3. შეაერთეთ USB შესაბამის AC შესაერთებელში და შეაერთეთ უსაფრთხოდ შტეფცეკელში.

4. როცა დატენვა დასრულდება, გამოაძვრეთ შესაერთებელი მონწყობილობიდან და შემდეგ ამოიღეთ კედლის დამტენი.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბატარის შესახებ

თუ ბატარეა დამტდარია, თქვენ შეიძლება ვერ შეძლოთ მობილურის ჩართვა ელემენტის დატენვის დაწყებისთანავე. სანამ შეეცდებით ტელეფონის გახსნას, დააცადეთ ბატარეას რამდენიმე წუთით დატენვა ისე, რომ ტელეფონი იყოს გამორთული. ამ პერიოდში, დატენვის ანიმაცია შეიძლება არ გამოჩნდეს ეკრანზე.

ბატარის დასატენად საჭირო დრო, დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურასა და ბატარის სიძველეზე.

როდესაც ბატარის დონე დაბალია, ტელეფონი გამცნობთ ხმოვანი გაფრთხილებით და მონიტორზე ასახავს შესაბამის საჭიროებას. როდესაც ბატარეა თითქმის დამტდარია, თქვენი ტელეფონი ავტომატურად გამოირთვება.

თქვენი მობილური ტელეფონის ჩართვა

თქვენი მობილური ტელეფონის ჩართვა

დააჭირეთ ჩართვის ღილაკს (⏻).

პირველად როცა თქვენს ტელეფონს გახსნით, ეკრანზე ნახავთ მისაღმების ტექსტს. აირჩიეთ სასურველი ენა და შეეხეთ დაწყების ღილაკს (➔) რომ გააგრძელოთ კონფიგურაციის პროცესი.

შენიშვნა:

თუ თქვენი SIM ბარათის შემთხვევაში, პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომერის (PIN) დაცვა ჩართულია, თქვენ მოგეთხოვებათ შეიყვანოთ PIN მისაღმების ტექსტამდე. ტელეფონის კონფიგურაციის პროცესის დასასრულებლად, საჭიროა Wi-Fi ინტერნეტი ან მობილურის ინტერნეტი.

ახლა მოგიხდება შეხვიდეთ თქვენი არსებული Google-ის ანგარიშით, ან შექმნათ ახალი ანგარიში და დაასრულოთ კონფიგურაციის პროცესი.

შენიშვნა:

თქვენ შეგიძლიათ გამოტოვოთ ანგარიშის კონფიგურაციის პროცესი და დაასრულოთ ის სხვა დროს. Google-ის ანგარიში საჭიროა, რომ თქვენი მონაცემების საშუალებით, Google-ის მიერ შეთავაზებული ზოგიერთი სერვისის გამოყენება შეძლოთ.

თქვენი მობილური ტელეფონის გამორთვა

1. დააჭირეთ და არ აუშვათ გამორთვის ღილაკი რომ გახსნათ ტელეფონის პარამეტრების მენიუ.
2. შეეხეთ **გამორთვას**.

სენსორული ეკრანი

სენსორული ეკრანის მოქმედებები

შეხება შეეხეთ თითის გამოყენებით რომ აირჩიოთ ობიექტი, დაადასტუროთ თქვენი არჩევანი, ან გახსენით აპლიკაცია.

შეეხეთ და არ აუშვათ: შეეხეთ ობიექტს თითით და არ აუშვათ მანამ, სანამ მობილური ტელეფონიდან რეაგირებას არ მიიღებთ. მაგალითად, იმისათვის რომ გახსნათ პარამეტრების მენიუ, შეეხეთ გახსნილ ეკრანს და არ აუშვათ მანამ, სანამ მენიუ არ გამოვა.

თითით გასრიალება: ამოძრავეთ თითი მთელს ეკრანზე, ან ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად. მაგალითად, გაასრიალეთ თითი მარცხნივ ან მარჯვნივ, რომ გადაშალოთ სურათები.

გადატანა: შეეხეთ თითით სასურველ ობიექტს და არ აუშვათ. გადაიტანეთ ობიექტი ეკრანის ნებისმიერ ნაწილში.

თქვენ შეგიძლიათ გადაიტანოთ ობიექტი გადაადგილების ან წაშლის მიზნით.

საწყისი ეკრანი

მას შემდეგ რაც სისტემაში შეხვალთ, ან როდესაც ტელეფონს ჩართავთ, გაიხსნება საწყისი ეკრანი. საწყისი ეკრანი არის თქვენი ამოსავალი წერტილი, რათა მიიღოთ წვდომა თქვენი ტელეფონის ყველა თვისებებზე. მასზე გამოსახულია აპლიკაციების იკონები, ვიჯეტები, მალსახმოობები და სხვა ფუნქციები. თქვენ შეგიძლიათ მოახდინოთ საწყისი ეკრანის კონფიგურაცია სხვადასხვა ფონის შეცვლით და თქვენთვის სასურველი ობიექტების განთავსებით.

საწყისი ეკრანს აქვს გამშვების იკონი (⏻). შეეხეთ მას რომ ნახოთ და ჩართოთ დაყენებული აპლიკაციები (აპები).

შენიშვნა:

საწყისი ეკრანზე, ცარიელ სივრცეში ხანგრძლივი დაჭერა ჩართავს ეკრანის ფონს, ვიჯეტების და პარამეტრების მალსახმოობებს.

ეკრანის ჩაკეტვა და გახსნა

ეკრანის ჩაკეტვა

როდესაც თქვენი მობილური ჩართულია, დააჭირეთ ჩართვის ღილაკს რომ ჩაკეტოთ ეკრანი. მაშინაც კი როდესაც ეკრანი ჩაკეტილია, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ გზავნილები და ზარები.

თუ თქვენს მობილურ ტელეფონს კარგა ხნით არ შეეხებით, ეკრანი ჩაიკეტება ავტომატურად.

ეკრანის გახსნა

დააჭირეთ ჩართვის ღილაკს რომ ჩართოთ ეკრანი. შემდეგ, დაბლოკვის იკონი (🔒) თითოთ გაასრიალეთ ზემოთ, რომ გახსნათ ეკრანი. შეიყვანეთ კომბინაცია ან PIN კოდი, თუ მოგეთხოვიათ.

იმისათვის, რომ პირდაპირ, ჩაკეტილი ეკრანიდან გამოიყენოთ კამერის ფუნქცია, გადაიტანეთ კამერის იკონი (📷) ზემოთ რომ ჩართოთ კამერის აპი.

იმისათვის, რომ პირდაპირ, ჩაკეტილი ეკრანიდან გამოიყენოთ Google Voice ძეგნის ფუნქცია, გადაიტანეთ ხმის ძეგნის იკონი (🗣️) ზემოთ, რათა ჩართოთ Google Voice ძეგნის აპი.

შენიშვნა:


თუ თქვენი კონფიდურაციის მიხედვით ეკრანი იბლოკება, თქვენ მოგეთხოვებათ გახსნათ ეკრანი. დეტალებისთვის, იხილეთ “მობილური ტელეფონის დაცვა რომელიც ეკრანის ჩაკეტვას იყენებს”, გვერდი 39.

ჩვენება

ჩვენების განლაგება

შეტყობინებები და ინფორმაცია სტატუსზე

სტატუსის ზოლი, ყველა ეკრანის პირობებში ჩანს ზემოთ. აქ, მიმდინარე დროსთან ერთად, გამოდის გზავნილების იკონები, ისეთი როგორიცაა გამოტოვებული ზარი ან მიღებული მესიჯი (მარცხნივ) და ტელეფონის სტატუსის იკონები, ისეთი როგორიცაა ელემენტის მდგომარეობა (მარჯვნივ).



შეტყობინების იკონი

სტატუსის იკონი

სტატუსის იკონი

4G	4G მობილურ ქსელთან კავშირი არის		სიგნალი არ არის
LTE	LTE მობილურ ქსელთან კავშირი არის		ვიბრაციის რეჟიმი
3G	3G მობილურ ქსელთან კავშირი არის		ადგილმდებარეობა ნაპოვნია
G	GPRS მობილურ ქსელთან კავშირი არის		ბატარეა დატენილია
E	EDGE მობილურ ქსელთან კავშირი არის		ბატარეა იტენება
H	HSDPA მობილურ ქსელთან კავშირი არის		FM რადიო ჩართულია
H+	HSPA+ მობილურ ქსელთან კავშირი არის		თვითმფრინავის რეჟიმი
R	როუმინგი		Wi-Fi ინტერნეტ კავშირი არის
	მობილური ქსელის სიგნალის სიძლიერე		ბლუთუთის მონყობილობასთან კავშირი არის

შეტყობინების იკონები

	ახალი ელ-ფოსტის გზავნილი		გამოტოვებული ზარი
	მაღვიძარა დაყენებულია		სპიკერფონი გააქტიურებულია
	მოახლოებული დონისძიება		ტელეფონის მიკროფონი გათიშულია
	მიმდინარეობს მონაცემთა სინქრონიზაცია		მონაცემების ჩამოტვირთვა
	შესვლის ან სინქრონიზაციის პრობლემა		ტელეფონი დაკავშირებულია USB კაბელის მეშვეობით
	სქრინშოტი აღებულია		ახალი ტექსტ მესიჯი
	ყურსასმენები დაკავშირებულია		

შეტყობინების პანელი

თქვენი მობილური ტელეფონი შეგატყობინებთ ახალი მესიჯის მიიღებასა და მოახლოებულ ღონისძიების შესახებ. შეტყობინების პანელი ასევე გაცნობებთ მადვიძარასა და პარამეტრების შესახებ. გახსენით შეტყობინების პანელი, რომ ნახოთ უსადენო ქსელის ოპერატორი ან ნახოთ მესიჯი, შეხსენება ან ღონისძიების შეტყობინება.

შეტყობინების პანელის გახსნა

1. როდესაც შეტყობინების ზოლში გამოჩნდება ახალი შეტყობინების იკონი, შეეხეთ შეტყობინების ზოლს, და შემდეგ ჩამოასრიალეთ თითოთი ქვემოთ რომ გახსნათ შეტყობინების პანელი.
2. შეეხეთ შეტყობინებას, რომ გახსნათ დაკავშირებული აპლიკაცია.


შეტყობინების პანელის დახურვა

იმისათვის რომ პირდაპირ დახუროთ შეტყობინება (ნახვის გარეშე), უბრალოდ შეეხეთ შეტყობინებას, არ აუშვათ და გადაიტანეთ იგი ეკრანის მარცხნივ/მარჯვნივ.

იმისათვის რომ დახუროთ შეტყობინების პანელი, გაასრიალეთ პანელის ბოლო ნაწილი ქვემოთან გემოთ.

მალსახმობი იკონები

ეკრანზე ახალი ობიექტის დამატება

1. სანყის ეკრანზე, შეეხეთ  რომ იხილოთ ყველა აპლიკაცია.
2. იმისათვის, რომ დაამატოთ ობიექტი, გადაიტანეთ აპლიკაციის იკონი კონკრეტულ სანყის ეკრანზე.

ეკრანზე ობიექტის გადატანა

1. მთავარ ეკრანზე, შეეხეთ და არ აუშვათ აპლიკაციის იკონს მანამ, სანამ იკონი არ გადიდდება.
2. თითის აუშვებლად, გადაიტანეთ იკონი ეკრანის სასურველ ადგილას და შემდეგ აუშვით.

შენიშვნა:

სანყის ეკრანზე, საჭიროა იყოს საკმარისი სივრცე, რომ დაათიოთ იკონი პანელზე.

ეკრანიდან ობიექტის წაშლა

1. მთავარ ეკრანზე, შეეხეთ და არ აუშვათ აპლიკაციის იკონს მანამ, სანამ იკონი არ გადიდდება.
2. თითის აუშვებლად, გადაიტანეთ ობიექტი რომ **წაშალოთ**. შემდეგ, აუშვით თითი რომ წაშალოთ სანყის ეკრანიდან.
3. თქვენ ასევე შეგიძლიათ წაშალოთ აპლიკაციები ნაბიჯ 1 და ნაბიჯ 2-ზე მიყოლით და გადაიტანოთ აპლიკაცია ზედა ეკრანზე არსებულ დეინსტალაციაში.

ვიჯეტები

ვიჯეტი საშუალებას გაძლევთ გადახედოთ ან გამოიყენოთ აპლიკაცია. შეგიძლიათ განათავსოთ ვიჯეტები სანჯის ეკრანზე იკონების ან გადახედვის ესკიზების სახით. თქვენს ტელეფონს მოყვება რამდენიმე დაინსტალირებული ვიჯეტი. მეთი ვიჯეტების ჩამონერა შესაძლებელია Google Play-დან.

ვიჯეტის დამატება

1. სანჯის ეკრანზე, შეეხეთ და არ აუშვათ სანჯის ეკრანს.
2. შეეხეთ ვიჯეტს, რომ გამოჩნდეს არსებული ვიჯეტები.
3. იმისათვის, რომ დაამატოთ ობიექტი, გადაიტანეთ სასურველი ობიექტი კონკრეტულ სანჯის ეკრანზე.

ვიჯეტის წაშლა

1. სანჯის ეკრანზე, შეეხეთ და არ აუშვათ ვიჯეტის იკონს მანამ, სანამ იკონი არ გადიდდება.
2. თითის აუშვებლად, გადაიტანეთ ობიექტი რომ **წაშალოთ**. შემდეგ, აუშვით თითი რომ წაშალოთ სანჯის ეკრანიდან.

საქალაქდებები

საქალაქდების შექმნა

გადაიტანეთ აპლიკაციის იკონი ან მალსახმობი და დაადეთ ის სხვა აპლიკაციებს.

საქალაქდებზე სახელის გადაკეთება

1. შეეხეთ საქალაქდეს რომ გახსნათ.
2. საქალაქდის სათაურის ზოლში, შეიყვანეთ საქალაქდის ახალი სახელი.
3. როცა დასრულდება, დააჭირეთ **უკან** დაბრუნების ღილაკს.

ფონები

ფონების შეცვლა

1. სანჯის ეკრანზე, შეეხეთ და არ აუშვათ სანჯის ეკრანს.
2. შეეხეთ **ფონებს**.
3. გადაათვალიერეთ შესაძლებელი ვარიანტები, რომ დადოთ თქვენთვის მისაღები ფონი.
4. შეეხეთ **ფონის დადებას** რომ დადოთ თქვენთვის სასურველი სურათი, როგორც სანჯის ეკრანის ფონი.

მედია ფაილების გადაცემა თქვენს მობილურში და თქვენი მობილურიდან

გადაიტანეთ ყველა თქვენი საყვარელი სიმღერები და სურათები მობილურ ტელეფონსა და კომპიუტერს შორის მედია მონაცემების MTP საშუალებით.

შეაერთეთ თქვენი მობილური ტელეფონი თქვენს კომპიუტერზე USB კაბელით.

2. ჩამოასრიალეთ ქვემოთ, რომ გახსნათ შეტყობინების პანელი სადაც გამოვა USB კავშირის პარამეტრები. შემდეგ შეეხეთ **ფაილის გადატანას**, რომ ჩართოთ MTP საშუალება.

3. თქვენი ტელეფონი უნდა იყოს ნაჩვენები, როგორც მოსახსნელი მონაცემების მონაცემების და უნდა აჩვენებდეს ტელეფონის შიდა მეხსიერების მდგომარეობას და თუ ჩადებული გაქვთ მეხსიერების ბარათი, microSD ბარათი ასევე იქნება გამოსახული. დააკოპირეთ სასურველი ფაილი თქვენს ტელეფონში.

შენიშვნა:

თუ MAC-ს იყენებთ თქვენ მოგიხდებათ დრაივების ჩამოტვირთვა შემდეგი საიტიდან: <http://www.android.com/filetransfer/>

თვითმფრინავის რეჟიმის გამოყენება

ზოგიერთ ადგილას შეიძლება საჭირო გახდეს გამორთოთ თქვენი ტელეფონის უსადენო კავშირები. თქვენი ტელეფონის გათიშვის ნაცვლად, შეგიძლიათ გადაიყვანოთ ის **თვითმფრინავის რეჟიმზე**.

1. დააჭირეთ და არ აუშვათ **ჩართვის** ღილაკს.

2. შეეხეთ **თვითმფრინავის რეჟიმს** პარამეტრების მენიუში.

ან **პარამეტრების** აპლიკაციის გამოყენებით, შედით **ფართო** მენიუში და გაასრიალეთ **თვითმფრინავის რეჟიმის** ჩასართველი მარჯვნივ (➡), რომ ჩართოთ ეს ფუნქცია.

საწყისი ეკრანიდან, პანელის შეტყობინების ქვემოთ ჩამოსრიალებით, ასევე გაქვთ წვდომა თვითმფრინავის რეჟიმის ფუნქციაზე.

ტელეფონი

არსებობს რამოდენიმე გზა, რომ განახორციელოთ სატელეფონო ზარი. თქვენ შეგიძლიათ აკრიფოთ ნომერი, აირჩიოთ ნომერი თქვენი კონტაქტების სიიდან, ვებ გვერდიდან, ან დოკუმენტიდან, რომელიც შეიცავს ტელეფონის ნომერს. ტელეფონზე საუბრის დროს, შეგიძლიათ პასუხი გასცეთ შემომავალ ზარებს ან გადააგზავნოთ თქვენი ხმოვანი ფოსტის ყუთში. თქვენ ასევე შეგიძლიათ დაგეგმოთ რამდენიმე მონაწილესაგან შემდგარი საკონფერენციო ზარები.

შენიშვნა:



მიმართეთ თქვენი ქსელის ოპერატორს, რომ გაიგოთ თქვენი გამონერის ვარიანტი გაძლევთ თუ არა საშუალებას განახორციელოთ საკონფერენციო ზარები და რამდენ პირს შეუძლია მონაწილეობის მიღება.

დარეკვა

დასარეკად, შეგიძლიათ გამოიყენოთ ტელეფონის აპლიკაცია, ან აირჩიოთ ნომერი კონტაქტებიდან ან დანარევი ნომრებიდან.


ტელეფონზე საუბრის დროს, შეგიძლიათ დააჭიროთ **შენიუს** ღილაკს, რომ დაბრუნდეთ საწყის ეკრანზე და გამოიყენოთ სხვა ფუნქციები. იმისათვის, რომ დაბრუნდეთ დარეკვის ეკრანზე, ჩამოასრიალეთ შეტყობინების ზოლი და შეეხეთ მიმდინარე ზარს.

ნომრის ამკრეფით ზარის განხორციელება

1. საწყის ეკრანზე, შეეხეთ . შემდეგ შეეხეთ  რომ გამოაჩინოთ ნომრის ამკრეფი.

2. შეეხეთ შესაბამის ნუმერაციულ ღილაკებს, რომ აკრიფოთ ტელეფონის ნომერი.

რჩევა: თქვენს მობილურ ტელეფონს აქვს SmartDial ფუნქცია, რაც ნიშნავს იმას რომ, როდესაც ნომრის ამკრეფზე ეხებით ნომრებს, ტელეფონი ავტომატურად მოიძიებს თქვენს კონტაქტებს და გიჩვენებთ შესატყვისი ნომრების ჩამოთვალს სიზუსტის გათვალისწინებით. დახურეთ კლავიატურა, რომ ნახოთ უფრო მეტი დამთხვევები.

3. ნომრის აკრეფის შემდეგ, ან კონტაქტის შერჩევის შემდეგ, შეეხეთ .




კონტაქტებიდან დარეკვა


1. საწყის ეკრანზე, შეეხეთ  > **კონტაქტებს** () რომ გამოაჩინოთ კონტაქტების სია. თუ უკვე ნომრის ამკრეფში ხართ, შეეხეთ  ტაბს რომ გამოაჩინოთ საკონტაქტო სია.

2. ამ სიაში, შეეხეთ იმ კონტაქტს რომელზეც გინდათ რომ დარეკოთ.

3. შეეხეთ ტელეფონის ნომერს, რომ დარეკოთ მოცემულ კონტაქტზე.







დარეკვა დანარევი ნომრების სიიდან

1. შეეხეთ  > **ტელეფონი** () > . ტაბი. თქვენ იხილავთ დანარევი ზარების სიას. თუ ვერ იპოვეთ სასურველი კონტაქტი, შეეხეთ **დანარევი ზარების მთლიან ჩანაწერს**, რომ იხილოთ ყველა ზარის ჩანაწერი.


2. შეეხეთ სიაში მოცემულ კონტაქტს და დააჭიროთ  რომ განახორციელოთ ზარი.

ზარზე პასუხი და ყურმილის გათიშვა


როდესაც გირეკავენ, იხსნება შემომავალი ზარის ეკრანი აბონენტის იდენტიფიკაციით და ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციით აბონენტის შესახებ, რომელიც თქვენ გაქვთ შეყვანილი **კონტაქტებში**.

- ზარზე, საპასუხოდ შეეხეთ  და გადაასრიალეთ იგი მარჯვნივ ().
- ყურმილის გასათიშად, შეეხეთ  და გადაასრიალეთ იგი მარცხნივ (.
- ყურმილი რომ გათიშოთ და მესიჯი რომ გაუგზავნოთ პირდაპირ აბონენტს, შეეხეთ  და აასრიალეთ ის ზემოთ () და აირჩიეთ ერთ-ერთი შაბლონ მესიჯის ვარიანტი ან შეეხეთ **დანერეთ თქვენი საკუთარი...** რომ დანეროთ საკუთარი მესიჯი.

შენიშვნა:

როდესაც ეხებით , ის ქრება ეკრანიდან.

ყურმილის გათიშვა

ზარის დროს, შეეხეთ  რომ გათიშოთ.







სხვა ოპერაციები ზარის დროს

საკონფერენციო ზარის განხორციელება

თუ მიიღეთ ახალი ზარი, იმ დროს როცა საუბრობთ, შეგიძლიათ დააკავშიროთ მეორე ზარი უკვე არსებულ ზართან. ეს ფუნქცია ცნობილია, როგორც საკონფერენციო ზარი. თქვენ ასევე შეგიძლიათ შექმნათ საკონფერენციო ზარი მრავალ აბონენტთან.

შენიშვნა:

მიმართეთ თქვენი ქსელის ოპერატორს, რომ გაიგოთ თქვენი გამონერის ვარიანტი გაძლევთ თუ არა საშუალებას განახორციელოთ საკონფერენციო ზარები და რამდენ პირს შეუძლია მონაწილეობის მიღება.

1. იმისათვის, რომ განახორციელოთ საკონფერენციო ზარი, აკრიფეთ პირველი პირის ნომერი და შეეხეთ  რომ დარეკოთ.
2. სანამ აბონენტთან ხაზზე ხართ, შეეხეთ  და აკრიფეთ იმ პირის ნომერი რომელმაც გინდათ, რომ შეუერთდეს საუბარს.
3. შეეხეთ , ან აირჩიეთ ვინმე დანარეკი ნომრებიდან ან **კონტაქტებიდან**. პირველი ზარი ავტომატურად გადავა ლოდინის რეჟიმში.
4. როგორც კი დამატებით ზართან კავშირი შედგება, შეეხეთ .
5. იმისათვის, რომ დაამატოთ მეტი აბონენტი, შეეხეთ  და გაიმეორეთ 2 - 4 ნაბიჯები.
6. იმისათვის, რომ დაასრულოთ საკონფერენციო ზარი და განწყვიტოთ კონტაქტი ყველასთან, შეეხეთ .

ზარებს შორის გადართვა

თუ თქვენ მიიღეთ ახალი ზარი, სხვა აბონენტთან საუბრის დროს, შეგიძლიათ გადაერთოთ ახალ ზარზე.

1. სანამ ორ ზარზე ხართ, შეეხეთ ქვედა მარცხენა კუთხეში ეკრანზე საკონტაქტო სახელს ან ტელეფონის ნომერს.
2. მიმდინარე ზარი გადავა მოცდის რეჟიმში და თქვენ დაუკავშირდებით სხვა ზარს.





კონტაქტები

კონტაქტების აპლიკაცია გაძლევთ საშუალებას შეინახოთ და მართოთ ისეთი ინფორმაცია, როგორცაა თქვენი კონტაქტების ტელეფონის ნომრები და მისამართები. მას შემდეგ, რაც შეინახავთ საკონტაქტო ინფორმაციას თქვენს მობილურ ტელეფონში, ის უზრუნველყოფს ადვილ წვდომას იმ ადამიანებთან რომელთანაც გსურთ დაამყაროთ კომუნიკაცია.

კონტაქტების აპლიკაციის გახსნა

თუ გაქვთ ახალი მობილური ტელეფონი და ჯერ არ დაგიმატებიათ არცერთი კონტაქტი, კონტაქტები მოგცემთ მინიმუმებს, თუ როგორ უნდა დაიწყოთ კონტაქტების დამატება თქვენს მობილურ ტელეფონში.


იმისათვის რომ გახსნათ აპლიკაცია, შეასრულეთ ერთ-ერთი შემდეგი მოქმედება:

- შეეხეთ  და შემდეგ **კონტაქტებს** (). შეეხეთ **ყველა კონტაქტების** ტაბს, რომ გამოაჩინოთ საკონტაქტო სია.
- შეეხეთ  სანყის ეკრანზე, შემდეგ დააჭირეთ  ტაბს, რომ გამოაჩინოთ საკონტაქტო სია.


თქვენი ყველა კონტაქტი განლაგებულია ანბანის მიხედვით დასასწროლ სიაში.

კონტაქტების გადაწერა

თქვენ შეგიძლიათ გადაწეროთ კონტაქტები SIM ბარათიდან ან შიდა მეხსიერებიდან.


1. კონტაქტების სიაში, შეეხეთ  > **იმპორტს/ექსპორტს**.

2. შეასრულეთ ერთ-ერთი შემდეგი მოქმედება:

- რომ გადმოწეროთ კონტაქტები SIM ბარათიდან:
შეეხეთ **სიმ ბარათის კონტაქტების მართვას** >  > დააჭირეთ **ყველას გადაწერა** რომ გადმოწეროთ ყველა კონტაქტი.
- რომ გადმოწეროთ კონტაქტები შიდა მეხსიერებიდან:
შეეხეთ **.vcf ფაილიდან გადმოწერას**. აირჩიეთ ადგილმდებარეობა, სადაც გინდათ კონტაქტების ჩაწერა და შეეხეთ *.vcf ფაილს, რომ გადმოწეროთ კონტაქტები.

კონტაქტების დაზღვევა

თქვენ შეგიძლიათ გადაწეროთ კონტაქტები SIM ბარათში ან შიდა მეხსიერებაში.

1. კონტაქტების სიაში, შეეხეთ  > **იმპორტს/ექსპორტს**.

2. შეასრულეთ ერთ-ერთი შემდეგი მოქმედება:

- კონტაქტების SIM ბარათში გადასაწერათ:
შეეხეთ **SIM ბარათში გადაწერას** რომ გადაწეროთ ყველა კონტაქტი.
- რომ გადაწეროთ კონტაქტები შიდა მეხსიერებაში:
შეეხეთ **.vcf ფაილში გადაწერას**. აირჩიეთ მდებარეობა, სადაც გინდათ კონტაქტების შენახვა და შეეხეთ **შენახვას**.



კონტაქტის დამატება

1. კონტაქტების სიაში, შეეხეთ  რომ დაიმატოთ ახალი კონტაქტი.


2. შეიყვანეთ კონტაქტის სახელი და შემდეგ დამატეთ ნებისმიერი დეტალური ინფორმაცია, ისეთი როგორცაა ტელეფონის ნომერი ან მისამართი.

3. როდესაც დაასრულებთ, შეეხეთ  საკონტაქტო ინფორმაციის შენახვას.

კონტაქტის თქვენს რჩეულებში დამატება



1. შეეხეთ იმ კონტაქტს, რომლის შეტანაც გსურთ რჩეულებში.
2. შეეხეთ  სახელის გვერდზე და იკონი გახდება თეთრი ().

კონტაქტის მოძებნა

1. კონტაქტების სიაში, შეეხეთ  რომ მოძებნოთ კონტაქტი.
2. შეიყვანეთ კონტაქტის სახელი რომელსაც ეძებთ. წერის დროს, კონტაქტები შესატყვისი სახელებით გამოჩნდება საძიებო ველის ქვემოთ.

კონტაქტის რედაქტირება


თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ შეიტანოთ ცვლილებები იმ ინფორმაციაში, რომელიც კონტაქტს დაატანეთ.

1. კონტაქტების სიაში, შეეხეთ იმ კონტაქტს, რომლის დეტალების შეცვლაც გსურთ.
2. შეეხეთ .
3. შეიტანეთ სასურველი ცვლილებები საკონტაქტო ინფორმაციაში, და შემდეგ შეეხეთ . ყველა იმ ცვლილების გასაუქმებლად, რომელიც საკონტაქტო ინფორმაციაში შეიტანეთ, დააჭირეთ **უკან** დაბრუნების ღილაკს.


თქვენს კონტაქტებთან კომუნიკაცია

ყველა კონტაქტებიდან ან რჩეულების ტაბიდან, თქვენ შეგიძლიათ სწრაფად დარეკოთ ან გააგზავნოთ ტექსტური შეტყობინება (SMS) ან მულტიმედიური წერილი (MMS) კონტაქტზე ნაგულისხმევ ტელეფონის ნომერზე. თქვენ ასევე შეგიძლიათ გახსნათ დეტალები და ნახოთ ჩამონათვალი ყველა იმ საშუალების შესახებ რომლითაც შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ასეთ კონტაქტს. ამ ნაწილში აღწერილია, თუ როგორ დაუკავშირდეთ კონტაქტს თქვენი კონტაქტების სიის ნახვის დროს.

კონტაქტთან კომუნიკაცია

1. კონტაქტების სიაში, შეეხეთ კონტაქტს, რომელთანაც გსურთ კომუნიკაცია.
2. კონტაქტების დეტალურ ეკრანზე, თქვენ შეგიძლიათ აქედან ერთ-ერთის გაკეთება:
 - შეეხეთ ტელეფონის ნომერს, რომ გაუშვათ ხარი.
 - შეეხეთ  მესიჯის გასაგზავნად.

კონტაქტის წაშლა

1. კონტაქტების სიაში, შეეხეთ კონტაქტს, რომელიც გსურთ, რომ წაშალოთ.
2. შეეხეთ  > **წაშლას**.
3. შეეხეთ **OK** რომ დაადასტუროთ, რომ გსურთ კონტაქტის წაშლა.

ეკრანული კლავიატურის გამოყენება

კლავიატურის პანელის გამოჩენა

ტექსტის დასაწერად, გამოიყენეთ ეკრანული კლავიატურა. ზოგიერთი პროგრამა კლავიატურას ხსნის ავტომატურად.



ზოგიერთ სხვეში, შეეხეთ ტექსტის ველს რომ გახსნათ კლავიატურა.

კლავიატურის გასახსნელად, შეეხეთ იმ სივრცეს, სადაც გსურთ, რომ დაწეროთ ტექსტი. დააჭირეთ უკან დაბრუნების ღილაკს, რომ დამალოთ კლავიატურა.

ლანდშაფტური კლავიატურის გამოყენება

თუ კლავიატურა მოუხერხებელი ან რთული გამოსაყენებელია, გადმოატრიალეთ თქვენი მობილური გვერდზე. ეკრანზე გამოვა კლავიატურა ლანდშაფტური ორიენტაციით, რომელიც გთავაზობთ უფრო ფართო კლავიატურის განლაგებას.

კლავიატურის პარამეტრების შეცვლა

1. შეეხეთ  > პარამეტრები () > ენა და შეყვანა.



2. ენა და შეყვანა


- შეეხეთ Google **Keyboard-ს Google-ის** კლავიატურის პარამეტრების კონფიგურაციისათვის.
- შეეხეთ **Google voice typing-ს** Google-ის ხმოვანი აკრეფის პარამეტრების კონფიგურაციისათვის.

Wi-Fi (უსადენო ინტერნეტი)

იმისათვის, რომ გამოიყენოთ Wi-Fi ინტერნეტი თქვენს მობილურ ტელეფონში, უნდა გქონდეთ წვდომა შეერთების უსადენო წერტილებზე (ცხელი წერტილები). დაბრკოლებები, რომელიც Wi-Fi ინტერნეტის სიგნალს ბლოკავს, ამცირებს მის ძალას.

Wi-Fi ინტერნეტის ჩართვა და უსადენო ქსელთან დაკავშირება

1. შეეხეთ  > პარამეტრები ()

2. უსადენო & ქსელებში, შეეხეთ **Wi-Fi-ს** და გაასრიალეთ ჩამრთველი მარჯვნივ () რათა ჩართოთ ფუნქცია.


3. ნაჩვენები იქნება აღმოჩენილი Wi-Fi ქსელების სია. აირჩიეთ Wi-Fi ქსელი, რომ შეუერთდეთ.

4. თუ აირჩევთ ღია ქსელს, თქვენ ავტომატურად ჩაერთვებით ქსელში. თუ აირჩევთ ქსელს, რომელიც დაცულია და მას პირველად უკავშირდებით, შეიყვანეთ პაროლი და შემდეგ შეეხეთ **შეერთებას**.

შენიშვნა:

თუ აირჩევთ უსადენო ქსელს, რომელიც დაცულია, თუმცა რომელიც უკვე გამონაყენები გაქვთ, თქვენ არ დაგჭირდებათ პაროლის კიდევ ერთხელ შეყვანა




იმ პირობით, რომ ტელეფონი არ აღგიდგენიათ ქარხნულ პარამეტრებზე ან Wi-Fi პაროლი არ შეცვლილა.

რჩევა: Wi-Fi-ის პარამეტრების ეკრანზე, შეეხეთ  > **ქსელის დამატებას**, რომ დაამატოთ ახალი Wi-Fi ქსელი.

SMS და MMS


მიმონერის გახსნა

იმისათვის რომ გახსნათ აპლიკაცია, შეასრულეთ ერთ-ერთი შემდეგი მოქმედება:

- შეეხეთ  სანყის ეკრანზე.
- შეეხეთ  > მიმონერა ().

ტექსტური მესიჯის შექმნა და გაგზავნა


გაიხსნება ფანჯარა, სადაც თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ახალი გზავნილი ან გახსნათ მიმდინარე გზავნილთა კონა.

1. შეეხეთ  ახალი ტექსტის ან მულტიმედიური წერილის შესაქმნელად ან შეეხეთ არსებულ გზავნილს რომ გახსნათ გზავნილთა კონა.

2. შეიყვანეთ ტელეფონის ნომერი **მიმღების** ველში. ტელეფონის ნომრის ჩანერისას გამოგივით შესაბამისი კონტაქტები. შეგიძლიათ შეეხოთ შემოთავაზებულ მიმღებს ან გააგრძელოთ ნომრის შეყვანა.

3. შეეხეთ ტექსტის ჩარჩოს რომ დაიწყოთ თქვენი გზავნილის წერა.


თუ გზავნილის წერის დროს დააჭერთ უკან დაბრუნების ღილაკს, გზავნილი შეინახება როგორც შავად ნაწერი თქვენს გზავნილთა სიაში. შეეხეთ გზავნილს, რომ განაახლოთ მისი წერა.


4. როგორც კი მორჩებით, შეეხეთ .

შენიშვნა:

პასუხები გამოჩნდება ფანჯარაში. იმ დროს როცა თქვენ ნახულობთ და აგზავნით დამატებით გზავნილებს, იქმნება გზავნილთა კონა.

მულტიმედიური გზავნილის შექმნა და გაგზავნა

1. შეტყობინებების ეკრანზე, შეეხეთ .


2. შეიყვანეთ ტელეფონის ნომერი მიმღების ველში ან შეეხეთ  რომ დაამატოთ ტელეფონის ნომერი **კონტაქტების** სიიდან.


3. შეეხეთ ტექსტის ჩარჩოს რომ დაიწყოთ თქვენი გზავნილის წერა.

4. შეეხეთ  > **დაამატეთ თემა** დაამატეთ თემა

5. ჩაწერეთ თემა.

თქვენი მობილური ახლა არის მულტიმედიურ გზავნილის რეჟიმში.

6. შეეხეთ  და აირჩიეთ იმ მედია ფაილის ტიპი, რომელიც გინდათ რომ დაურთოთ გზავნილს.

7. როგორც კი მორჩებით, შეეხეთ .

გზავნილის გახსნა და პასუხის გაცემა

1. გზავნილთა სიაში, შეეხეთ ტექსტის ან მულტიმედიის გზავნილთა კონას, რომ გახსნათ ის.
2. შეეხეთ ტექსტის ჩარჩოს, რომ დაწეროთ თქვენი გზავნილი.
3. შეეხეთ ➤ .

გზავნილების პარამეტრების შეცვლა

გზავნილების სიაში, შეეხეთ **⋮** > **პარამეტრები**, რომ შეცვალოთ გზავნილების პარამეტრები. აირჩიეთ:




- SMS ჩართულია: მიუთითეთ ნაგულისხმევი SMS აპლიკაცია.
- ძველი გზავნილების წაშლა: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ წაშალოთ ძველი გზავნილები როცა ლიმიტი იწურება.
- ტექსტური გზავნილების ლიმიტი: დააყენეთ ტექსტური გზავნილების მაქსიმალური ლიმიტი თითო საუბარზე.
- მულტიმედიური გზავნილების ლიმიტი: დააყენეთ MMS-ების მაქსიმალური ლიმიტი თითო საუბარზე.
- SIM1/SIM2 ბარათების გზავნილების მისვლის შეტყობინება: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ მოითხოვოთ გზავნილის მისვლის შეტყობინება ყოველ გზავნილზე რომელსაც აგზავნით SIM ბარათიდან (ეზიდან).
- გზავნილის შაბლონი: შეცვალეთ გზავნილის შაბლონი.
- მართეთ SIM1 ბარათის გზავნილები: მართეთ SIM1 ბარათის გზავნილები.
- SMS-ების ვალიდურობის ვადა SIM1/SIM2 ბარათებისათვის: დააყენეთ SMS-ების ვალიდურობის ვადა SIM ბარათისათვის (ეზისათვის).
- SMS ხელმოწერა: მონიშნეთ მოსანიშნი ველი რომ შეიტანოთ თქვენი ადრინდელი ხელმოწერა ყოველ გზავნილზე რომელსაც აგზავნით SIM ბარათიდან (ეზიდან).
- შეცვალეთ SMS ხელმოწერა: შეცვალეთ თქვენი ადრინდელი ხელმოწერა.
- ჯგუფური მიმღებანი: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ გააგზავნოთ ერთი MMS რამოდენიმე მიმღების მისამართით.
- გზავნილების მისვლის შეტყობინება: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ მოითხოვოთ გზავნილის მისვლის შეტყობინება ყოველ გზავნილზე რომელსაც აგზავნით.
- წაკითხვით შეტყობინება: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ მოითხოვოთ წაკითხვის შეტყობინებები ყოველ გზავნილზე რომელსაც აგზავნით.
- ავტომატურად აღდგენა: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ ავტომატურად აღადგინოთ გზავნილები.
- ავტომატურად აღდგენა როუმინგის დროს: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ ავტომატურად აღადგინოთ გზავნილები როუმინგის დროს.
- MMS-ის ვალიდურობის ვადა SIM1/SIM2-ისათვის: დააყენეთ MMS-ის ვალიდურობის ვადა SIM ბარათისათვის (ეზისათვის).
- შეტყობინებები: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ გამოაჩინოთ ახალი გზავნილი შეტყობინებების სტატუსის ზოლში.
- ხმა: დააყენეთ ზარის მელოდია ახალი შეტყობინებებისათვის.
- ვიბრაცია: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ ახალი შეტყობინებების დროს მონყობილობას ქონდეს ვიბრაცია.
- დააყენეთ SIM1/SIM2-ის smsc ნომერი: დააყენეთ SMSC ნომერი SIM ბარათისათვის (ეზისათვის).
- ჩართეთ WAP PUSH მომსახურება: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ ჩართოთ მომსახურების გზავნილის მიღება.

ბლუთუმი

თქვენს მობილურ ტელეფონს აქვს ბლუთუმი, რომელიც საშუალებას გაძლევთ შექმნათ უსადენო კავშირი სხვა ბლუთუმის მქონე მონაცემების მქონე მოწყობილობებთან, რომ შეძლოთ გაუზიაროთ თქვენი ფაილები თქვენს მეგობრებს, ისაუბროთ სადენიანი ყურსასმენების გარეშე ბლუთუმის გარნიტურით ან გადაიტანოთ თქვენი ფოტო ტელეფონიდან თქვენს კომპიუტერში.

თუ იყენებთ ბლუთუმს გახსოვდეთ, რომ დაიკავოთ 10 მეტრის დისტანცია სხვა ბლუთუმ მონაცემების მქონე მოწყობილობებთან. იცოდეთ, რომ ისეთმა დაბრკოლებებმა, როგორცაა კედლები და ელექტრონული მოწყობილობები შეიძლება ხელი შეუშალოს თქვენს ბლუთუმ კავშირს.

ბლუთუმის ჩართვა

1. შეეხეთ  > **პარამეტრები** (.
2. **უსადენო & ქსელებში**, შეეხეთ **ბლუთუმს** და გაასრიალეთ ჩამრთველი მარჯვნივ () რათა ჩართოთ ფუნქცია.


როდესაც ბლუთუმი ჩართულია, ბლუთუმის იკონი ჩანს შეტყობინების ზოლში.

დანყვილების და დამაკავშირებელი მონაცემების ბლუთუმი

ბლუთუმ მონაცემების დანყვილება და დაკავშირება:

- გამოიყენეთ უსადენო ყურსასმენების ბლუთუმ მონაცემების.
- გამოიყენეთ მონო ან სტერეო ბლუთუმ გარნიტურა.
